8ოყ 12

პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№ 67
(12 035)

1 – 4 სექტემბერი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

ნომერშია:

- ხვალ დიდი მატჩია!
- ორბიტაზე გავედით...
- მემკვიდრეობა
- საუბრები სპორტის ისტორიაზე
- ქართული ფეხბურთი
- საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები
- ფორმულა 1 „შეჯვეცეს“
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ძიუდო. მსოფლიო თასი

13 + 3 და ვაჟებში გუნდური პირველობა

შთამბეჭდავი შედეგები მოიპოვა საქართველოს ძიუდოისტთა ვაჟთა და ქალთა ნაკრებებმა ბაქოში დასრულებულ მსოფლიო თასზე. ტურნირში 14 ქვეყნის ციმონოს ოსტატები მონაწილეობდნენ. ჩვენი ვაჟთა გუნდის 14 წევრიდან 13 შინ სხვადასხვა სინჯის მედლით (4 ოქრო, 2 ვერცხლი, 7 ბრინჯაო) და გუნდური პირველი ადგილით დაბრუნდა. არცთუ ურიგოდ იჭიდავა ქალთა ძიუდოისტთა ნაკრებმაც, რომელთა ნადავლში 3 ბრინჯაოს მედალი გახლავთ.

ბაქოს ტატამზე საქართველოს ვაჟთა ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით (ორ-ორი მონაწილით ცალკეულ წონით კატეგორიაში) ასპარეზობდა. ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ: **ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100) და გიორგი ყიზილაშვილი (მძიმე); ვერცხლს დაეუფლნენ: ნესტორ ხერგიანი (66), გიორგი ბაინდურაშვილი (90); ბრინჯაოს – ამირან პაპინაშვილი (60), მინდია ხომიზური (66), ზაზა კედელაშვილი (73), გრიგოლ შინჯიკაშვილი (81), ხვიჩა ხუციშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე (100) და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე).**

ქალთა ეროვნული ნაკრების სამ წევრს **თინათინ ქულოსაშვილს** (63), **ენძელა დილუაშვილს** (70) და **ლია გვიანიძეს** (78) ბრინჯაოს მედლები ხვდათ წილად.

ომარ ჩხაიძე.

გვატემალადან ორი მედლით

გვატემალაში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ჩვენი ეროვნული ნაკრები (მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი) 8 სპორტსმენით იყო წარდგენილი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ქუთაისელმა ლაშა გოგიტაძემ (50 კგ) და თბილისელმა დავით ქარჩავამ (84).

დღეს ასპარეზობაში ჩაებმებიან თავისუფალი ჭიდაობის ახალგაზრდა ფალავნები.

ეს ცნობა გუშინ მოგვაწოდა საქართველოს ეროვნული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა.

გაზეთის დაბეჭდვამდე:



დღეს ნახევარფინალური შეხვედრებია

იაპონიაში დასასრულს უახლოვდება კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. დღეს გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები. ესპანეთის ნაკრები ეთამაშება არგენტინის გუნდს, ხოლო ამერიკელი კალათბურთელები დაუპირისპირდებიან საბერძნეთის ნაკრებს.

აშშ-ის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების კაპიტანმა ლებრონ ჯეიმსმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა მაღალ დონეზე უნდა ითამაშოს ბერძნების წინააღმდეგ.

,,ჩვენ ან გავიმარჯვებთ, ანდა, შინ დავბრუნდებით. გამარჯვება ან სიკვდილი. კარგად მესმის — ბერძნებთან ძნელი მატჩი გველის, აუცილებლად უნდა მოვახდინოთ ძალების კონცენტრაცია, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

გუშინ გაიმართა შეხვედრები მეხუთე-მერვე ადგილებისათვის. თურქეთის ნაკრებმა მხოლოდ დამატებით დროში მოახერხა ლიტვის გუნდის დამარცხება 95:84. თურქთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო თურქოღლუ, რომელმაც 24 ქულა მოაგროვა. ასევე შედეგიანად ითამაშა მისმა თანაგუნდელმა არსლარმა, რომლის ანგარიშზე 18 ქულაა, გარდა ამისა მან 4-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 5 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

საფრანგეთის ნაკრებმა ორი ქულით აჯობა გერმანიის გუნდს. გერმანელებს ვერ უშველა ნბა-ში მოთამაშე დირკ ნოვიცკიმ, მან 29 ქულა მოაგროვა და 9-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისათვის.

მაშ ასე, მე-5 ადგილისათვის მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან თურქეთისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები.

ხავიერ სავიოლა „ბარსელონაში“ რჩება

არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი ხავიერ სავიოლა ესპანეთის საფეხბურთო გრანდ „ბარსელონას“ შემადგენლობაში რჩება. მისი კონტრაქტის ვადა ერთი წლის შემდეგ ამოიწურება. ჟურნალისტებთან საუბარში სავიოლამ განაცხადა, რომ ის შეეცდება დაამტკიცოს თუ როგორი საჭირო ფეხბურთელია გუნდისათვის.

„მე ვიცი, რომ არა ვარ მთავარი თავდამსხმელი „ბარსელონაში“, ამის მიუხედავად შევეცდები საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას“, – განაცხადა სავიოლამ.

30 წლის წინათ, 1976 წლის 3 სექტემბერს თბილისის „დინამომ“ პირველად მოიპოვა ფეხბურთში სსრ კავშირის თასი, დაამარცხა რა ფინალურ მატჩში ერევნის „არარატი“ 3-0!

დღეს, საგარეჯოში...

დღეს, საგარეჯოში საცურაო აუზი გაიხსნება. ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში არაერთი სპორტული ბაზა აიგო ან განახლდა. მათ შორისაა საგარეჯოს ძიუდოს დარბაზი. დღეს კი საგარეჯოს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა შეემატება. საზეიმოდ გაიხსნება საცურაო აუზი, რომელიც ამ ტიპის მოქმედი პირველი ბაზა იქნება კახეთის რეგიონში.

მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ბრწყინვალე პიროვნებას — ქალბატონ **დალი სირაძეს,** უსურვებს ჯანმრთელობას და ბედნიერებას პირად და სპორტულ ცხოვრებაში.

ისინბაევამ არ გარისკა



ჭოკით ხტომაში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების რეკორდსმენმა ელენა ისინბაევამ ვარშავაში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების მიმდინარეობის დროს გადაწყვიტა არ გაერისკა და საფრთხეში არ ჩაეგდო საკუთარი ჯანმრთელობა. საკმაოდ მძიმე ამინდის პირობებში (ტემპერატურა 10 გრადუსი იყო). ელენამ მხოლოდ ერთი ნახტომი გააკეთა — 415 სმ დასძლია, არადა... რუს სპორტსმენს საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება ჰქონდა დაგეგმილი.

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ბავშვთა მოზარდთა ცენტრალური კომპლექსური სასპორტო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი დირექტორი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი

ანზორ (ომარ) დონდაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახს და საქართველოს ტანვარჯიშის სამყაროს

ანზორ (ომარ) დონდაძის

გარდაცვალების გამო.

ოსიაურში იმერლიშვილის ტურნირზე

ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურის ქართული ჭიდაობის მოედანზე გაიმართა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის ხაშურის რაიონის მკვიდრის, ცნობილი სპორტული მოღვაწის იური იმერლიშვილის სახელობის მეორე ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

სხვათა შორის, ოსიაურის ქართული ჭიდაობის სარბიელი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში, რომელიც 1989 წელს აიგო, რაშიაც დიდი წვლილი მიუძღვის ოსიაურელ ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკს ნოდარ ბუხრიკიძეს.

იური იმერლიშვილის ტურნირზე საკმაოდ ძლიერმა მოჭიდავეებმა იასპარეზეს.

აბსოლუტურ პირველობაზე ყველას აჯობა გამოცდილმა გორელმა **ნიკო ბიბილაშვილმა**. დანარჩენ 9 წონით კატეგორიაში კი პირველი ადგილები მოიპოვეს: **სერგო ნოზაძემ** (ხაშური), **შმაგი შარიფაშვილმა** (კასპი), **თამაზ ნოზაძემ** (ხაშური), **რობერტ მშვიდობაძემ** (გორი), **ბიჭიკო ოსაძემ** (ქარელი), **თემურ ოქრუაშვილმა** (მცხეთა), **ზვიად ბაზანდარაშვილმა** (გორი), **ოთარ ახალაიამ** (თბილისი) და **ვასილ მიღდისელმა** (მცხეთა).

ტურნირში მონაწილეობდნენ აგრეთვე აჭარელი და ქუთაისელი ქართულის მოჭიდავეები.

იური იმერლიშვილმა განსაკუთრებული პრიზი გადასცა რობერტ მშვიდობაძეს.

ტურნირის მოწყობაში თავი გამოიჩინეს ხაშურის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის (**ბესო გაჩეჩილაძე, გიორგი ლამბაშიძე, ბადრი შერაზადიშვილი**) და ხაშურის ჭიდაობის სახეობათა გაერთიანებულმა ფედერაციამ (**რამაზ ხარშილაძე, სიმონ ნოზაძე, თემურ მაღალდაძე**).

ოსიაურში არაერთი ხერხიანი ქართულის მოჭიდავე ახარებდა თანასოფლელებს სარმითა თუ ჩოქილა კისრულით, მათ შორის იყო თბილისის დინამოს ოქრო გუნდის ლეგენდარული მწვრთნელის **ნოდარ ახალკაცის მამა ფარსადან ახალკაციც**.

ოსიაურში ქართული ჭიდაობის სიყვარული დღესაც არ განელებულა.

* * *

ცხინვალთან ახლოს პატარა ლიახვის სოფელ ერედვში გაიმართა ამ სოფლის ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. გაგაცნობთ შვიდ წონით კატეგორიაში პირველი ადგილის მფლობელებს, ესენია: **სოსო ბერუაშვილი, თორნიკე ბაციკაძე, მერაბ ცერცვაძე, ანდრო ბერუაშვილი, ოთარ გაიდარაშვილი, გიორგი სახვაძე და თემურ ბირჩაძე**. ჩემპიონები იცავდნენ სოფლების: ქორდის, ტყიავის, ერედვის, ფხვენისისა და ტირძნისის ღირსებას.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად, 63 წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის ვეტერანი მუშაკი, წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე, 1991-2004 წლებში სპორტის ტანვარჯიშული სახეობების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი

ანზორ (ომარ) დონდაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, ამავე კომიტეტის აღმასკომის ყოფილი წევრის, ტანვარჯიშში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, სპორტის ამ სახეობაში ეროვნული ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის

ანზორ (ომარ) დონდაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული სპორტის ვეტერანი მუშაკის, ტანვარჯიშში სპორტის სოტატის, 14 წლის განმავლობაში ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ღირსების ორდენის კავალერის

ანზორ (ომარ) დონდაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია, საქართველოს ტანვარჯიშული სამყარო, ვეტერანი ტანმოვარჯიშეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ვეტერანი ტანმოვარჯიშე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი

ანზორ (ომარ) დონდაძე

და უმსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 1-2.09, 17 სთ; გამოსვენება 3.09, 15 სთ. მისამართი: საბურთალოს ქ. №31.

70 წლის ბერმუხა

ოთარ გოცირიძეს ბაკურიანელებთან წარდგენა არ სჭირდება. იგი, მართალია, ბაკურიანში არ დაბადებულა, მაგრამ სულით და ხორცით ნამდვილი ბაკურიანელია. საშუალო სკოლაც ბაკურიანში დაამთავრა, სამთო მეთხილამურეობასაც აქ ეზიარა. პარალელურად წყლის თხილამურებსაც მისდევდა და საქართველოს პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულიც გახდა. 1991 წელს წყალთხილამურებში ფოთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ოთარ გოცირიძე, როგორც საქართველოში სპორტის ამ სახეობის პიონერი, პერსონალურად იქნა მიწვეული. იგი სათხილამურო სპორტშიც ქვეყნის მრავალგზის გამარჯვებულია და წლების მანძილზე საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელიც იყო.

ზღვისა და მთის თხილამურების მცოდნე და ოსტატი უპირატესობას სამთო-თხილამურებს ანიჭებს და იგი ელიტარულ სპორტის სახეობად მიაჩნია, წყლის თხილამურები კი მდიდრების მოგონილია და მისთვის დიდი ფულია საჭიროო — ამბობს. თავად, კიდევ ერთხელ რომ მიეცეს არჩევის საშუალება, დღესაც მთის თხილამურებს აირჩევდა.

ოთარ გოცირიძის პერიოდში, როგორც თავად გვითხრა, მეტად ძლიერი მეთხილამურეები იყვნენ საქართველოში: ოთარ ხვედელიძე, პავლე და შოთა კოზანაშვილები, ლევან და კუკური ფანჯავიძეები, დიდი მიშა — მიხეილ გავვა;.. და სხვანი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ემაყება რომ ასაკით ცოტაოდენი განსხვავებაა მას და ბატონ კობა წაქაძეს შორის, რომლის გამოსვლებით და წარმატებებით მუდამ ამაყობდა. როცა გოცირიძე საქართველოს მეთხილამურეთა ნაკრებს ედგა სათავეში, ჩვენი გუნდი ბევრს სჯობნიდა. მწვრთნელი სიამოვნებით იხსენებს სსრკ ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონს **ვიქტორ სანაკოევს**, ბრინჯაოს მედალოსან **გიორგი ჯიჭოევს**...

კერძო სასტუმროს მშენებლობა, ჯერ კიდევ საბჭოთა სივრცეში, პირველმა ბაკურიანში ოთარ გოცირიძემ წამოიწყო. ამ პერიოდშივე (1986 წლიდან) იწყება ფიქრი დიდველის ათვისებაზე, რომლის ფრთაშესხმა დაწყებულია ცნობილ ბიზნესმენ, ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** თანადგომით — დიდველის კომპლექსის ათვისების შემდგომი ეტაპიც სწორედ ამ შესანიშნავი პიროვნების სახელს უკავშირდება.

დიდველის აღმშენებლობითი მოკრძალებული წვლილი თავისი მარჯვენით და უშრეტი ენერგიით ოთარ გოცირიძესაც შეაქვს. მისივე თქმით, წლეულს დიდველში აიგება 990 მ. სიგრძის დახურული გზა. სავარძლები დაცული იქნება სიცივისა და ნამქრისაგან.

ბატონი ოთარი, ერთი პერიოდი, ბორჯომის რაიონის გამგებელიც იყო. ეს მისთვისაც ძალიან რთული პერიოდი იყო, რადგან ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება არ იძლეოდა „ფრთების გაშლის" საშუალებას. ზოგჯერ მას თვითონ უხდებოდა ნიჩბით გაეწმინდა ბორჯომის ქუჩები დიდთოვლობის დროს, რათა ისედაც მცირე ტრანსპორტის მოძრაობას ხელი არ შეშლოდა. ერთხელაც პოეტ **ჯანსუღ ჩარკვიანს** (მაშინ პარლამენტარი იყო) ლიკანიდან მომავალს „ორბიტასთან" როცა ნიჩბით ხელში ადამიანისთვის მოუკრავს თვალი, რომელიც ყინულებს ამტვრევდა, მანქანა შეუჩერებია, გადმოსულა და უთქვამს: ამ სიცივეში ასე გაოფლიანებული მუშაობთ და მე როგორ მიგატოვოთ ბორჯომელები, მომეცი ნიჩბები, მე და ჩემი ძმა (ჯიმი მანქანაში იჯდა) მოგეხმარებითო... გამგებელი უხერხულობაში ჩავარდნილა და უთქვამს — თქვენ თუ გაჩერდებით და არ წახვალთ, გზებს სულ არ გავწმინდავთო და, პოეტსაც გზა გაუგრძელებია.

ოთარ გოცირიძე სპეციალობით მშენებელ-ინჟინერია და თბილისის სხვადასხვა რაიონში საცხოვრებელი ბინები, საავადმყოფოები და სკოლები აქვს აშენებული. მთავრობის სახლის (ყოფილი ცკ-ს შენობა) შენობის აგებაშიც აქვს წვლილი მიღებული.

ინტელიგენტურ ოჯახში ქართულ ტრადიციებზე გაზრდილმა, რომელსაც უამრავი მეგობრები ჰყავს, ამავე ტრადიციებს აზიარა ერთადერთი ქალიშვილი ინგა და შვილიშვილი სანდრო, რომელთაც არასოდეს შერცხვებათ მამისა და ბაბუის მიერ განვლილი ცხოვრებისა.

... საღამოს, როცა დიდველში მზე მიიწურება, ჩიტები გალობას შეწყვეტენ, მთებში ნისლი ჩამოწვება, უკვე საკმაოდ მობერებული ფოთლოვანი ხეები კი ძილს მიეცემიან, 70 წლის მთის ბერმუხაც ტოვებს აქაურობას და სასტუმრო „აპოლონში" დაღლილ-დაქანცული ხვალინდელ დღეზე ფიქრში იძინებს.

სოფიკო ხეთაგაშვილი.

მემკვიდრეობა

რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ სალარაძე.**



შესანიშნავი ხუთეული – ჩემი „მონბლანი"

მკითხველს ერთი საინტერესო ეპიზოდი მინდა მოვუთხრო: ჭაბუკობაში ვერაზე ვცხოვრობდი, მელიქიშვილის ქუჩაზე, სასტუმრო „საქართველოს" პირდაპირ გურამ ლორთქიფანიძის („ლორთქას") სახლის გვერდით ეზოში. დილაობით მაშინდელი კიროვის სახელობის პარკში ვვარჯიშობდი, საღამოობით ძირითადი ვარჯიშის შემდეგაც ისევ პარკში გავისეირნებდი ხოლმე. მახსოვს, ბაღში, ერთი დიდი ჭოგრიტიანი ფოტოაპარატი იდგა ენაწყლიან პატრონთან ერთად. „მოდით ბიჭებო, ჩაიხედეთ, მსოფლიოს დაინახავთ" — გვაგიჟებდა ის კაცი. ეს სიამოვნება სულ 20 კაპიკი ღირდა, თუ არ ვცდები. ჩახედავდი და მართლაც სასწაულს დაინახავდი. ის გაიძახოდა „ეს ინდოეთია, — დელი, ეს საფრანგეთია — პარიზი, ეს იტალიაა, სიმონ, — რომი, აზრზე მოდიხართ, ბიჭო?" ჩვენც პირდაღებული ვუჭრიტინებდით ჭოგრიტს და კვერს ვუკრავდით. ბოლო აკორდი ასეთი იყო: ესეც, მონბლანი, — დაიძახებდა ის კაცი და გამომწვევად შემოგვხედავდა. ვაა... გაკვირვებით დავიძახებდით ჩვენც.



მკითხველს არ მოვაბეზრებ თავს და ბოლოს ვიტყვი, რომ ფოტო, რომელსაც დღეს წარმოგიდგენთ, ჩემთვის „მონბლანიცაა" და ყაზბეგიც...

ერთად მოვდივართ იქიდან, როდესაც მე პირველად დარბაზში მივედი და იქ დამხვდა ეს შესანიშნავი სახეები.

ამ საოცარ „მონბლანში" მე ვგულისხმობ იმ სილამაზეს, სითბოს და სიყვარულს, რაც ამ შესანიშნავ მოჭიდავეებში იდო და დღესაცაა. ჩვენ შორის აღარ არის ანზორ გვიმრაძე, სურათს, რომ დახედეს ჩემიანებმა და მრავალმა ჩემმა მეგობარმა, ყველას აღმოხდა, „რა სიმპათიური და ლამაზი კაცი ყოფილა ანზორ გვიმრაძე".

მართლაც ანზორი საინტერესო პიროვნება იყო. გამორჩეული მოჭიდავე, მეგობარი და მოქალაქე. სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი, არაერთ საერთაშორისო შეხვედრებში გამარჯვებული. საერთაშორისო კატეგორიის ექსტრა კლასის მსაჯი. მსაჯთა შორის მართლაც გამორჩეული არტისტიზმითა და ვირტუოზული მანერებით. თავში ვახსენე „ლორთქა", მისი განუყრელი მეგობარი. ანზორი განუმეორებელი იყო თავისი საოცარი თამადობით. ხანდახან თავის საყვარელ „ქედრულა მოდიდებულას" და „ქალო ნარინჯიანოს" ჩაგუგუნებდა გიორგი სხირტლაძესთან და ჯუმბერ დავლიანიძესთან ერთად. მეც ხშირად პირველ ხმას წავუმღერებდი ხოლმე, ისე, რომ კარგად გამოგვდიოდა, ოღონდ, არავის ვეჯიბრებოდით, ჩვენი და ჩვენი მეგობრების სიამოვნებისთვის ვმღეროდით.

სურათზე ყველა რაჭველი როდია — იმერელიც გვირევია და ქართლელიც. მარცხნიდან: ჯუმბერ დავლიანიძე — ექსტრა კლასის არბიტრი, ვახტანგ ბალავაძე, პარიზში ჭიდაობის პროფესორად წოდებული. საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში 12 შეხვედრიდან ყველა მეტოქეს ქართული ჭიდაობის ილეთებით მოუგო 1955 წელს; გიორგი სხირტლაძე — ცნობილი თავისი სიდარბაისლითა და კაცური კაცობით.

II რიგში: ანზორ გვიმრაძე — კომენტარი აღარ სჭირდება, გურამ სალარაძე და ნუგზარ გოგიბედაშვილი — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, კასპის მთავარი ექიმი.

P.S. ესეც ჩემი „მონბლანი" და მისი წევრები, ღმერთმა კარგად ამყოფოს ეს ჩემი შესანიშნავი ხუთეული.

ორბიტაზე გავედით...

წყალხტომა. მსოფლიო პირველობა

ეროვნული ფედერაციების ინტეგრაცია საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში ისე მნიშვნელოვანი, მრავალი ასპექტით, არასოდეს ყოფილა, როგორც ეს დღესაა. ვინც ალლო კარგად აუღო ამ მოთხოვნას, შედეგებსაც სასურველს იმკის, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში ცალკეულ ქვეყნებში სპორტის საკეთილდღეოდ.

*საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ახალარჩეულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **გ. უდესიანი**, გენერალური მდივანი **ი. ბართაია**), ამ 2 წლიწადში ყველაფერი გააკეთა საერთაშორისო ორბიტაში მოსაქცევად. ამ საქმიანობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევაა ახალგაზრდებს შორის წყალხტომაში მსოფლიო XVI ჩემპიონატში პირველად მონაწილეობა. „ლელოს" სტუმარია ირაკლი ბართაია.*

◆ ***ბატონო ირაკლი, ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში წყალხტომა მამათქვენით და თქვენით სულდგმულობს. მამა-შვილს მადლობის მეტი რა გეთქმით. ახლა თქვენ წყალთა სახეობებში ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანიც ბრძანდებით და საზრუნავი მოგემატათ. ალბათ, ეს კარგიცაა, სხვის უნარზე აღარ იქნებით დამოკიდებული. ცხადია, როგორც ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაზე, ამჯერადაც, ალბათ, მხოლოდ თბილისელი სპორტსმენებით იასპარეზეთ. ჯერ ის გვითხარით, რა იყო მსოფლიო პირველობაზე მოხვედრის წინაპირობა?***

— მსოფლიოს პირველობაზე მხოლოდ ლიცენზიით ხვდებიან. ამჯერად მალაიზიაში, ქ. კუალა ლუმპურში ახალგაზრდების მსოფლიო XVI ჩემპიონატზე 53 ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს ტურნირში მონაწილეობის უფლება. მათ შორის მოხვდა საქართველო. მონაწილენი დაიყვნენ ორ კატეგორიად — 16 წლამდელები და 16-18 წლიანები. ჩვენ მხოლოდ უმცროს ასაკში გამოვედით სარბიელზე. **შოთა კოროხაშვილი** 1 მ. ტრამპლინზე კვალიფიკაციაში 30 რჩეულიდან ფინალში გავიდა 12 უძლიერესთან ერთად და საბოლოოდ X ადგილს დასჯერდა. რაც ურიგო, დებიუტანტის კვალობაზე, სულაც არ არის.

◆ ***სპეციალისტები ყოველთვის გაოცებული რჩებიან ჩვენი მხტომელებით, ამჯერად თუ დაიმსახურეს ყურადღება?***

— თქვენ რომ არ გკითხათ, თავად გეტყოდით. აგერ ხელთა მაქვს საერთაშორისო ფედერაციის პრესასთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის, გაზეთ „სპორტექსპრესის" ცნობილი მიმომხილველის, წარსულში სახელგანთქმული წყალში მხტომელის **ელენე ვაიცეხოვსკაიას** მიერ პრესაში გამოთქმული შეფასება. აი, რას წერს იგი: „ძალიან სასიამოვნო იყო, რომ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად ვიხილეთ საქართველოს გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ქვეყანაში 2004 წელს გაიხსნა აუზი (იგულისხმება ვაკის აუზი, **რედ.**), საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა შ. კოროხაშვილმა 1-მეტრიან ტრამპლინიდან მაინც მოახერხა 30 უძლიერესთაგან ფინალში მოხვედრა და კიდევ ერთხელ გაგვახსენა თავისებური, ქართული ორიგინალური სტილი". დიახ, ვაიცეხოვსკაიას კარგად ახსოვს წყალხტომის ქართული სტილი. შემდეგ იგი წერს:

ირაკლი ბართაია

„ასევე წარმატებით გამოვიდნენ სინქრონულ ხტომაში **ჭოლა ჭანტურია** და **გიორგი გევორქიანი**. კვალიფიკაცია გავლილ 15 გუნდს შორის მათ საპატიო VIII ადგილი დაიკავეს"...

◆ ***ჩვენი წყვილი ხომ ტრადიციულად საერთაშორისო ასპარეზზე სტაბილურად გამოდის, არ შეეძლოთ უკეთესი ადგილის მოპოვება?***

— შეეძლოთ, როგორ არ შეეძლოთ. საქმე იმაშია, რომ სამი ნახტომის შემდეგ ჩვენი დუეტი ლიდერთა შორის იყო. მერე გევორქიანმა იჩქარა და სინქრონი ოდნავ დაირღვა. თუმცა, ბოლო ნახტომი იდეალური გამოდგა, დანაკარგის ანაზღაურება ვეღარ შევძელით და VIII ადგილზე დავრჩით. აქვე მინდა გითხრათ: ჩვენ უკან ჩამოვიტოვეთ ევროპის ჩემპიონები ამ პროგრამაში — იტალიელები, X ადგილზე გავიდნენ ამერიკელები, მერე მოდიან ავსტრიელები და მექსიკელები. ეს, მე უძლიერესები დავასახელე, თუმცა, მათი რიცხვი გაცილებით დიდია. ჩვენი VIII ადგილი ყველასათვის სასიამოვნო მოვლენა იყო. საერთოდ, სინქრონული ხტომები ურთულესი პროგრამაა. ყველას უჭირს ერთნაირი დონის ორი სპორტსმენის შერჩევა.

◆ ***თქვენ მსაჯობთ კიდეც. ამჯერად თუ იმსაჯეთ?***

— კი, როგორ არა.

◆ ***გამოდის, რომ პირველი ბრძანდებით საქართველოდან, ვინც სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო დონის ასპარეზობაზე იმსაჯეთ...***

— ნამდვილად ასეა. თუმცა, ამ ჩემპიონატზე თავიდან ვერ ბედავდნენ ნდობის გამოცხადებას. მერე, ერთხელ დამსვეს, მეორედ... დარწმუნდნენ რა ჩემს შესაძლებლობებში, დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა.

◆ ***უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ ასპარეზობებში, მათ შორის, შეიძლება ოლიმპიურ პეკინშიც გიხილოთ არბიტრის როლში?***

— შეუძლებელი არაფერია, მადლობთ კეთილი სურვილისთვის.

◆ ***ახლო მომავალში რას გეგმავთ?***

— სამ კვირაში მადრიდში გაიმართება საერთაშორისო ფედერაციის კონფერენცია. მე იქ როგორც ეროვნული ფედერაციის მდივანი ვარ მიწვეული.

მივლინების სრულ ხარჯებს, გზის ჩათვლით, საერთაშორისო ფედერაცია გაიღებს. ასეთ ფორუმზე დასწრება ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ განიხილავენ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ საკითხებს, მოწვეულები იქნებიან ის ცნობილი ფირმები, რომლებიც მოსავენ, ალმდგენი საშუალებებით ან ინვენტარით ამარაგებენ ეროვნულ ნაკრებ გუნდებს. ასე რომ, ჩვენც გამოგვიჩნდა მათთან ურთიერთობის შანსი. მთლად უფასოდ თუ არა, შეღავათიან ფასებში მაინც მივიღებთ დახმარებას სპონსორებისგან.

◆ ***რამე რეალური თუ იკვეთება?***

— ჩემი ახალი ნაცნობები მაიმედებენ, რომ შესაძლებელია მოვხვდეთ იმ პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს განვითარებად ქვეყნებში თანამედროვე სტანდარტების სპორტული ბაზების მშენებლობების დაფინანსებას. კარგად მოგეხსენებათ ეს რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. პირადი კონტაქტები ბევრს ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ლობირებას გაგვიწევენ. ამის სურვილი მათი მხრიდან დიდია.

რაკი მომავლის გეგმებზე მკითხეთ, გეტყვით იმასაც, რომ წყალხტომში მალე ერევანში მივიღებთ მონაწილეობას ამბარცუმიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. ვემზადებით წყალთა სახეობებში მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ეს შეჯიბრება მაღალი რანგის ბოლო ასპარეზობაა პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის წინ.

◆ ***გვაქვს ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი?***

— თუ ლიცენზიას ვერ ავიღებთ, 6 ადგილი (4 სპორტსმენი, 2 მწვრთნელი) კვოტით გვაქვს გარანტირებული. ყველა ხარჯებს აქაც საერთაშორისო ფედერაცია გაიღებს.

◆ ***წარმატებებს გისურვებთ!***

— დიდი მადლობა!

ესაუბრა
თენგიზ თომაშვილი.

ანზორ (ომარ) ლონდაძე

საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა, მოულოდნელად გარდაიცვალა ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ანზორ (ომარ) ლონდაძე.

დაიბადა 1942 წელს. 1956 – 1968 წლებში იყო საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი სპორტულ ტანვარჯიშში. წარმატებით იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ თსუ-ს ეკონომიკური ფაკულტეტი. მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლაში მწვრთნელად, რკინიგზის ტექნიკუმში ფიზკულტურის მასწავლებლად; იყო უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის ტანვარჯიშის მთავარ მწვრთნელად; სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილედ; საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1979-89 წლებში კი საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის დირექტორია, 1983-91 წლებში — თბილისის განათლების სამმართველოს ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ცენტრალური ტანვარჯიშული სპორტული სკოლის დირექტორი.

1991 წელს იგი აირჩიეს საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად, გახლდათ ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მალე კი თავისუფალი საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პირველი პრეზიდენტი გახდა, სადაც 2004 წლამდე იმუშავა.

სადაც კი იმუშავა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტმა და უამრავი ადამიანური ღირსებებით შემკულმა პიროვნებამ წარუშლელი კვალი დატოვა. მას პატივს მიაგებდნენ საერთაშორისო ტანვარჯიშულ სამყაროში, როგორც უმაღლესი კატეგორიის მსაჯს იწვევდნენ მაღალი რანგის ასპარეზობებზე, მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებზე, იყო სეოკ-ის ალმასკომის წევრი.

ანზორ ლონდაძის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მათ გულებში, ვინც ამ ბრწყინვალე პიროვნებას ახლოს იცნობდა.

საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის
საქმეთა დეპარტამენტი;
საქართველოს ტანვარჯიშულ
სახეობათა ეროვნული
ფედერაცია.

საუბრები სპორტის ისტორიაზე

როგორ მზადდებოდა ნიადაგი ოლიმპიური თამაშებისთვის

უკვე ვთქვით, რომ ზოგადად განათლების საწყისები დასაძებნია ფიზიკური აღზრდის სისტემის დამკვიდრებაში შორეულ წარსულში. შედარებით სრულყოფილი ფორმა, როგორც ვნახეთ, ჰარმონიული აღზრდის სისტემამ მიიღო ძველ საბერძნეთში, სადაც ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად, გაჩნდა სწავლების საგანმანათლებლო მიმართულება. რაც უფრო სრულყოფილი ხდებოდა სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდების აღზრდა, ფიზიკური კულტურა უფრო მეტად ანგარიშგასაწევია იმ პერიოდის განათლების სისტემაში.



მჭევრმეტყველია თუნდაც ის ფრაზა, რომელსაც ფილოსოფოს პლატონის ნაწარმოებში („გორგია") ფიზაღზრდის მასწავლებელი ამბობს, რომ მისი სურვილია, პირველ ყოვლისა, მოქალაქეები გახადოს ლამაზები და მხოლოდ შემდეგ, ძლიერები. ეს არ იყო კერძო მოსაზრება. ამ მისწრაფების რეალიზების სამსახურში მთელი აღზრდის სისტემა იდგა. ფილოსოფოსები ყველაზე უკეთ ხედავდნენ ადამიანის ჰარმონიული განვითარების სიკეთეს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ „ადამიანის ცხოვრების წესი წარმოუდგენელია ტანვარჯიშში მეცადინეობის გარეშე. შეგახსენებთ, რომ ძველ საბერძნეთში „ტანვარჯიში" იყო კრებსითი სახელი, რომელიც მოიცავდა ფიზიკური აღზრდის იმდროინდელ ყველა საშუალებას თამაშების ჩათვლით.

განათლებაც აწყობილი ისე იყო, რომ ფიზიკური და სულიერი აღზრდა თანაბრად წარმართულიყო. მეტიც, ფიზიკურ სრულყოფას, როგორც ფილოსოფოსთა შეგონებებიდან ჩანს, შეიძლება უპირატესი მნიშვნელობაც კი ენიჭებოდა. „უგუნურობა იქნებოდა საკუთარი უცოდინარობის გამო ისე დაბერდე, რომ საკუთარ თავზე მაინც ვერ დაინახო, თუ როგორი შეიძლება იყოს ადამიანის სხეული თავისი სრული სილამაზითა და ძალ-ღონით" — ამბობდა ფილოსოფოსი სოკრატე (469-399 წ.ჩვ. ერამდე). ხოლო ადამიანმა, რომელმაც არც წერა იცოდა და არც ცურვა, არაორაზროვნად . იწოდებოდნენ „ფიზიკურად და სულიერად ხეიბრად".

სხეულისა და სულის ჰარმონიულად განვითარება-სრულყოფის ცხოვრების წესად დამკვიდრებით, ძველმა ბერძნებმა კიდევ ერთი საოცრება აჩუქეს კაცობრიობას — ხელოვნების ოსტატები ფიზიკურად მრავალმხრივ განვითარებული, იდეალური ადამიანების ქანდაკებებს ქმნიან, ფერწერაში კი დომინირებს ლარნაკზე მხატვრობა. ასე რომ, სპორტული თემატიკა სულ უფრო მკვიდრდება და ბიძგს აძლევს საზოგადოების ცოდნისა და გემოვნების ჰორიზონტის გაფართოებას.

მკვლევარებში ეჭვს არ იწვევს, რომ ამ პერიოდის ხელოვანთა შემოქმედება ცხოვრების რეალობიდან საზრდოობდა, რომ ნამდვილად იყვნენ ჰარმონიულად იდეალურად განვითარებული სხეულის ადამიანები. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც ბრინჯაოს ფიგურები მირონის „ბადროს მტყორცნელი", და პოლიკლიტეს „დორიფორე" („შუბოსანი"). აქვე დავძენთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი „დორიფორეს" აქილევსთან აიგივებს, ამ გმირის განსახიერებად მიიჩნევს. „პოლიკლიტე ისწრაფოდა დაესაბუთებინა და პრაქტიკულად განესახიერებინა ადამიანის სხეულის ნაწილების იდეალური შეფარდებები. მისი შეხედულება ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა „დორიფორეს" („შუბოსანი", დაახლ. ძვ. წ. 440) ფიგურაში. მასში გარეგანი სიმშვიდის პლასტ. მდგომარეობა შინაგან დინამიკასთან არის გაწონასწორებული" (ქსე, ტ 3, გვ. 130).

რამდენიმე სიტყვა მირონზეც ვთქვათ. ეს ბერძენი მოქანდაკე ძვ. წ. V ს. შუა ხანებში მოღვაწეობდა. იგი იყო ხუროთმოძღვარი, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოვიდა არქაიკის ხელოვნების არტახებიდან. „განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოძრაობას და გადმოსცემდა მის კულმინაციურ მომენტს; ზედმიწევნით გამოავლინა ადამიანის ტანის ჰარმონია, მისი შინაგანი დინამიკა („ბადროს მტყორცნელი"..; ქსე ტ 7, გვ. 13).

ყველაფერ იმას, რაც აქამდე ითქვა, შეუძლებელი იყო რაიმე ამაღლებულში არ ეპოვა საბოლოო განსახიერება. ასეც მოხდა. ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებულ ძველ ბერძნულ საზოგადოებაში ეს ამაღლებული გამოხატულება იყო ბერძნული თამაშები, რომელიც ისტორიაში „ოლიმპიური თამაშების" სახელით დამკვიდრდა.

ჩვენ ვიცით, რომ ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების ათვლა ჩვ. წელთაღრიცხვამდე 776 წელს იწყება. მაგრამ ასეთი მასობრივი, ფორმით და შინაარსით ესოდენ სრულყოფილი დღესასწაული შეუძლებელია ერთბაშად აღმოცენებულიყო. ამ მოსაზრების საფუძვლიანობა დამტკიცდა ისტორიული გამოკვლევებით. თავდაპირველად სხვადასხვა თამაშები საბერძნეთის ცალკეულ ადგილებში დამკვიდრებულა. ტარდებოდა ერთიანი თამაშებიც, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო ზოგადბერძნული ოლიმპიური თამაშები. პროფესორ ნ. პეტროვის რედაქციით 1938 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში „ნარკვევები ფიზიკური კულტურის ისტორიიდან" ვკითხულობთ: „ეჭვგარეშეა, რომ ოლიმპიური თამაშების ჩასახვის სათავეები დასაძებნია უფრო შორეულ წარსულში, სახელმწიფოს შექმნამდე, გვაროვნული ურთიერთობის ეპოქაში".

ძველბერძნული თქმულებები ოლიმპიურ თამაშებს საბერძნეთის მითიურ გმირებთან პელოპსა და ჰერაკლესთან აიგივებენ. უფრო ადრინდელ თქმულებებში კი ამ დღესასწაულის დაარსება მიეწერება ელადის მმართველ იფიტს, რომელმაც სპარტის მმართველ ლიკურგესთან დადო შეთანხმება ელინელთა მეგობრობის ნიშნად პერიოდულად ჩაეტარებინათ სპორტული თამაშები, ამასთან, ოლიმპია გამოცხადდა ყველა ბერძენისთვის წმინდა ადგილად. ასე რომ, ჩვენს ერამდე 776 წლიდან იღებს სათავეს მხოლოდ ოლიმპიური თამაშების ზუსტი ქრონოლოგია და ამავე თამაშებიდან იწყება გამარჯვებულთა და თამაშების რიგითობის აღნუსხვა. ეს თამაშები ჩატარდა ოლიმპიაში.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო" №56-დან.



ფრანგებს ადრეც შევხვედრივართ

ქართველ და ფრანგ ფეხბურთელებს შორის დაპირისპირება პირველად 1954 წელს მოხდა, როდესაც საერთაშორისო ამხანაგური თამაშის ჩასატარებლად თბილისში ჩამოვიდნენ საფრანგეთის ქალაქ ბორდოს გუნდ „ჟირონდას" ფეხბურთელები. ისინი შეხვდნენ ქართული ფეხბურთის ფლაგმანს თბილისის „დინამოს". თამაში თავიდანვე დინამოელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 4-0 დამთავრდა.

მიუხედავად დამარცხებისა, ფრანგ ფეხბურთელებს შორის დაგვამახსოვრა თავი „ჟირონდას" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **კორგიუმ**. ადრე ის საფრანგეთის ნაკრებშიც გამოდიოდა და თავისი გამოცდილებით გამოირჩეოდა დანარჩენი ფრანგი ფეხბურთელებისაგან. თბილისელთაგან უბადლო იყო **ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია** და **ვალტერ სანაია.** საქმე იმაშია, რომ 1953 წლის საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ვალტერ სანაია უკან დაუბრუნდა თბილისის „დინამოს". მანამდე ის, თითქმის ხუთი წელიწადი, მოსკოვის „დინამოს" მეკარედ თამაშობდა, ჯერ **ალექსეი ხომიჩის** შემცვლელი იყო, ხოლო 1950 წელს მან ხომიჩთან ერთად საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ერთი წლის შემდეგ სანაია გუნდის ძირითადი მეკარეა, ხოლო ხომიჩი სათადარიგოა. 1952 წლის სეზონში ვალტერ სანაია მოსკოვის „დინამოს" ძირითადი მეკარე გახდა, **ლევ იაშინი** კი დუბლიორთა შემადგენლობაში გამოდიოდა. 1953 წელს იაშინი და სანაია რიგრიგობით იცავდნენ მოსკოვის „დინამოს" კარს...

1954 წელს ვლადიმერ მარღანია და ვალტერ სანაია თბილისის „დინამოს" კარს მონაცვლეობით იცავდნენ. ასე იყო „ჟირონდასთან" შეხვედრის დროსაც, პირველ ტაიმში ვლადიმერ მარღანიამ ითამაშა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისშივე კარის დარაჯად ვალტერ სანაია მოგვევლინა. სწორედ მეორე ტაიმის ერთ მომენტში კორგიუმ არც თუ ისე ძლიერი დარტყმით ბურთი „დინამოს" კარის მიმართულებით გაგზავნა. ბურთი მარცხენა ზემო კუთხისკენ მიფრინავდა, და სანაია სწორედ იმ მხარეს გადახტა, მაგრამ მოხდა საოცრება, ბურთმა შეიცვალა ტრაექტორია და უკვე საპირისპირო, მარჯვენა ზემო კუთხისკენ წავიდა, სანაია კარგი აკრობატიკით ჰაერშივე გადატრიალდა და ბურთი მუშტით კუთხურისკენ გააგზავნა. ასე უვნებელყო ქართველმა მეკარემ კორაგიუს მიერ დიდოსტატურად დარტყმული „ხმელი ფოთოლი". სტადიონი ტაშით და შეძახილებით „დაინგრა"...

გავიდა ხუთი წელი და 1959 წლის საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები საფრანგეთში გაემგზავრნენ. თანაც, უნდა გავიხსენოთ, რომ ერთი წლით ადრე მსოფლიო VI ჩემპიონატზე, რომელიც შვეციაში გაიმართა, საფრანგეთის ნაკრებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და, რაც მთავარია, მოწინააღმდეგეთა კარში შეგდებული 23 ბურთით ყველას აჯობა, მათ შორის, თვით მსოფლიო ჩემპიონებს, ბრაზილიელებს, რომელთა ანგარიშზე იყო 17 და ვერცხლის მედალოსნებს, შვეციის ნაკრებს, რომლებმაც 12 ბურთი გაიტანეს. აქვე დავუმატებ, რომ ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი 13 გოლით, ფრანგი **ჟიუსტ ფონტენი** გახდა და ამ რეკორდულ მაჩვენებელს ძალზე დიდხანს ფლობდა. საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში იმ დროს გამოდიოდნენ ისეთი უძლიერესი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ — **კოპა, ფონტენი, პიანტონი, ვინსანი** და სხვები.

და აი, ასეთი ფეხბურთელების სამშობლოში უნდა გამოსულიყო თბილისის „დინამო". 1959 წლის 25 ნოემბერს თბილისელებმა პირველი მატჩი პარიზის „რესინგთან" გამართეს. თამაში სპორტული თვალსაზრისით ძალზე დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა, მოვლენების აღწერას გავუსწრებ და წინასწარ აღვნიშნავ, რომ შეხვედრა თბილისის „დინამომ" გამანადგურებელი ანგარიშით 6-2 მოიგო და არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი ევროპა აალაპარაკა. 3 გოლი **ზაურ კალოევმა** გაიტანა, ხოლო თითო-თითო **შაპოვალოვმა, შოთა იამანიძემ** და **მიხეილ მესხმა.** საერთოდ, ამ მატჩში ყველასაგან გამოირჩეოდა მიხეილ მესხი. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეთა სამი მცველი დასდევდა, ბურთს ვერ ართმევდნენ და ის ამაყად აკეთებდა თავის საქმეს, თავაწეული ბურთიანად მიჰქროდა მთელ მოედანზე. შოთა იამანიძე ზუსტი პასებით ამარაგებდა მიშას და ეს ორი ფეხბურთელი ფილიგრანულ ტექნიკას უჩვენებდნენ მრავლისმნახველ პარიზელ გულშემატკივრებს. მესხმა „დაიპყრო" პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონი, რომლის ტრიბუნებზე მისი თამაშით ექსტაზში შესული გულშემატკივრები ხმამაღლა სკანდირებდნენ: „მიშა! მიშა!". როდესაც მიხეილ მესხმა ფინტებით გზაკვალი აუბნია მეურვეებს და ყუმბარისებური დარტყმით ბოლო მეექვსე ბურთი გაიტანა „რესინგის" კარში, საკავშირო რადიოს სპორტულმა კომენტატორმა **ვადიმ სინიავსკიმ** აღფრთოვანებული ეპითეტები მიუძღვნა მას.

ხუთი დღის შემდეგ, პირველ დეკემბერს, თბილისელებმა მეორე მატჩი გამართეს ქალაქ რეიმსში, ადგილობრივ „რეიმსთან", **რაიმონ კოპასა** და **ჟიუსტ ფონტენის** გუნდთან.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს ერთგვარი უპირატესობა ჰქონდათ თამაშის მსვლელობისას, 25-ე წუთზე ფონტენის შესანიშნავი გადაცემიდან „დინამოს" კარში ბურთი გაიტანა **დიუბალმა.** მთელი თამაშის განმავლობაში ადგილობრივმა მსაჯმა თავი გამოიჩინა არაობიექტურობით, ტენდენციურობით და მიკერძოებით, რასაც კარგად ხედავდნენ სტადიონზე მოსული მაყურებლები. „რეიმსის" მეთორმეტე მოთამაშემ, მსაჯმა, ყველაფერი გააკეთა, რომ დინამოელებს თამაში წაეგოთ. მატჩის დამთავრების შემდეგ „რეიმსის" ხელმძღვანელობამ მსაჯის ასეთი უსინდისობის გამო დინამოელებს ბოდიში მოუხადა, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ბოდიში უშველიდა? თამაშის მეორე დღეს ფრანგული პრესა ერთსულოვანი იყო დინამოელთა მაღალტექნიკური და იმპროვიზებული თამაშის შეფასებისას, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ „რეიმსმა" მსაჯის წყალობით გაიმარჯვა.

ბოლო, მესამე მატჩი დინამოელებმა საფრანგეთის უძლიერეს გუნდთან პარიზის „ნიმ-ოლიმპიკთან" გამართა, რომელიც იმ დროს საფრანგეთის ჩემპიონატს ლიდერობდა.

გადაუღებელი წვიმის გამო „პარკ დე პრენსის" სტადიონის მინდორზე წყლის გუბეები იდგა და ძალზე ატალახებული იყო. მაგრამ ასეთმა ამინდმა და მინდვრის მდგომარეობამ დინამოელებს ხელი ვერ შეუშალა, სწრაფი და მაღალტექნიკური შეტევების განხორციელებაში პარიზელთა საჯარიმო მოედნისკენ. სულ მალე, თამაშის მე-12 წუთზე ზაურ კალოევის ზუსტი დარტყმით ბურთი ფრანგების კარში აღმოჩნდა.

სტადიონზე შეკრებილი ფრანგი ფეხბურთის მოყვარულები, სპეციალისტები და პრესის წარმომადგენლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ მიხეილ მესხის განუმეორებელი და კასკადური ფინტების, მისი ეფექტური დრიბლინგის, სწრაფი გარღვევების და ბურთის ზუსტი ჩაწოდებების ხილვით. მიშას ცეცხლოვან და დაუოკებელ თამაშს თან სდევდა მქუხარე ტაში და აღტაცებული შეძახილები. ბურთის გატანის დიდი სურვილის შედეგად, მიხეილ მესხის კიდევ ერთი გარღვევა „ნიმ-ოლიმპიკის" კარის აღებით დამთავრდა. დიდოსტატური დრიბლინგით მან გვერდი აუარა მოწინააღმდეგეთა მცველებს, შეიჭრა მათ საჯარიმო მოედანზე და ძალზე უხერხული პოზიციიდან დაარტყა კარში, ბურთი ბადეში გაეხვია. ანგარიში გახდა 2-0 დინამოელთა სასარგებლოდ. აი, რას ამბობდა ცნობილი ფრანგი სპორტული მიმომხილველი **გაბრიელ ანო**: „ეს იყო მთელი მატჩის ულამაზესი ეპიზოდი, როგორც ტექნიკური, ასევე ტაქტიკური თვალსაზრისით".

ასე და ამგვარად, თბილისის „დინამომ" საფრანგეთის ცნობილ კლუბებთან სამი შეხვედრა ჩაატარა, ორი მოიგეს და ერთი წააგებინეს. მათ მეტოქეთა კარში 8 ბურთი შეაგდეს და მხოლოდ სამი მიიღეს, ე.ი. ბურთების საერთო შეფარდება 8-3 აღმოჩნდა.

ფრანგებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ ფეხბურთელთა გამოსვლებმა, რომ ქართველი ფეხბურთელები არიან სწრაფი, ტექნიკური, იმპროვიზებული და შემტევითი სტილის მოთამაშეები, რომ ისინი მიხეილ მესხის ვირტუოზულმა ტექნიკამ ჯერ გააოგნა, გააოცა, ხოლო შემდეგ აღაფრთოვანა. მ. მესხთან ერთად აგრეთვე გამოჰყოფდნენ **სერგო კოტრიკაძის** და **შოთა იამანიძის** თამაშს.

გაზეთ „ფრანს-ფუტბოლის" აზრით: „... ქართველ ფეხბურთელებს საბჭოთა კავშირში იგივე ადგილი უკავიათ, რაც ბრაზილიელებს სამხრეთამერიკულ ფეხბურთში".

ეს იყო, იყო ადრე. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გადის. ამჟამად საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანაა, სადაც „ჩვენი თავი, ჩვენვე გვეყუდვნის", რომ ასეთ ვითარებაში დიდია ქართველი ხალხის სიყვარული ფეხბურთისადმი, ამ მართლაც სახალხო და ვაჟკაცური თამაშისადმი. ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს, როგორც საკლუბო გუნდებიდან, ასევე ნაკრებიდან შევახსენებ, რომ მათ უნდა შეიგნონ და ახსოვდეთ თუ „ვისი გორისანი არიან", აგრეთვე, იცოდნენ თუ რანი ვიყავით და რანი ვართ.

გურამ ჩხიკვაძე.



საერთაშორისო შეხვედრა

„დინამო" (თბილისი) — „ჟირონდა" (ბორდო)

თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები მოუთმენლად მოელოდნენ 14 ივნისის მატჩს საფრანგეთის პროფესიონალური გუნდის „ჟირონდის" (ქ. ბორდო) და თბილისის „დინამოს" შორის. ჩვენი სტუმარი ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რომლის რიგებში თამაშობენ მაღალი კლასის, მრავალი საერთაშორისო შეხვედრის მქონე ფეხბურთელები.

...საზეიმო მარშის ხმაზე ორივე გუნდი გამოვიდა მწვანე მოედანზე და ცენტრში მოეწყო. ფრანგ ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

„ჟირონდა" (საფრანგეთი, ქ. ბორდო) — ასტერსი, ოკური, ორნანდო, ნაბატი, გარიგა, ტელეჩია, დელიადერიერი, ვონნესკო, კორგიუ, დეგრანჟე, გარდიენი.

„დინამო" (თბილისი) — მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, ხარჯველაძე, მახარაძე, ნ. გაგნიძე, კოტრიკაძე, ქ. გაგნიძე, დოლობერიძე, ანთაძე, თოდრია.

დან მახარაძემ. ერთ-ერთი ასეთი კომბინაცია მახარაძე-კ. გაგნიძე-ანთაძე-ქ. გაგნიძე კარში ძლიერი დარტყმით დამთავრდა, მაგრამ ასტერსმა ნახტომით აიღო ბურთი.

ერთზე ბრძოლაში უმეტესად ფეხბდნენ დინამოელებთან, ამიტომ მოედნის შუაგულში ერიდებოდნენ მათთან შეხვედრას, კართან იხევდნენ და აქ ჯგუფურ ბრძოლაში იგერიებდნენ

ძებმა ხარვეზი და ძლიერად დაარტყა. მარღანიამ აიღო ძნელი ბურთი. რამდენიმე ხნის შემდეგ კართან გაიჭრა გარდიენი, რომელსაც ამ დღეს ფხიზლად დარაჯობდა ელოშვილი. მისი ძლიერი დარტყმა კარის ძელს მოხვდა. დელიადერიერი, დეგრანჟი, ვონნესკო დიდხანს ატარებენ ბურთს დინამოელთა კართან, ბევრს აწოდებენ ერთმანეთს, მაგრამ კარში ან არაზუსტად ან სულ არ არტყამენ. ერთ-ერთ მომენტში დელიადერიერმა კარის წინ ლაღად დარჩენილ კორგიეუს მიაწოდა, მაგრამ ელოშვილმა აკრობატულ ნახტომში თავით ააცილა. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ დიდი მატჩია!

ესეც ასე, სტადიონი ოფიციალურად ოთხშაბათს, საღამოს გაიხსნა. დამშვენებულ, გაკოხტავებულ ეროვნულ სპორტულ სარბიელს საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**, მთავრობისა და ქალაქის მერიის წარმომადგენლები, ვეტერანი ფეხბურთელები, ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები ეწვივნენ. ოფიციალურ პირთა გამოსვლების შემდეგ სიმბოლური ლენტა გაიჭრა და ამიერიდან, ეროვნული სტადიონი, ისევ სპორტსმენთა და გულშემატკივართა თავშეყრის საყვარელი ადგილი იქნება. ყველანი დიდი მატჩის მოლოდინშია. ხვალ, ჰოლანდიელი არბიტრის **იან ვეგერეეფის** სასტარტო სასტვენის ხმასთან ერთად, 20 საათზე, საქართველოსა და საფრანგეთის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები გუნდების პაექრობა დაიწყება. განახლებულ სტადიონზე პირველი საერთაშორისო მატჩი გაიმართება, რომლის დაწყებამდე შოუ პროგრამით გათვალისწინებული, რამდენიმე ღონისძიება ჩატარდება. მანამდე, ჩვენი „ჯვაროსნები" გამალებულ სამზადისში არიან. **კლაუს ტოპმიოლერმა** შეგირდები, სამშაბათს, ტექნიკურ ცენტრში შეკრიბა. ნაკრები თბილისში სრული შემადგენლობითაა, მაგრამ ფრანგებთან, ალბათ, ვერ ითამაშებს **ლაშა ჯაკობია**, რომელსაც მუხლი აწუხებს. სხვა მხრივ გუნდში კარგი განწყობაა და ფეხბურთელები დაგეგმილი გრაფიკით ემზადებიან. საქართველოს ეროვნული ნაკრების გერმანელ მწვრთნელთა შტაბმა გუშინ, საწვრთნელ ცენტრში პრესკონფერენცია გამართა და ფრანგებთან საპაექრო შემადგენლობა საბოლოოდ დაადგინა.

საქართველოს ეროვნული ნაკრები:

მეკარეები

1. გიორგი ლომაია (ლუჩ-ენერგია, რუსეთი)
29. ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი)
34. გრიგოლ ჩანტურია (ზესტაფონი)

მცველები

5. დავით კვირკველია (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა)
6. კახა ალადაშვილი (დნიპრო, უკრაინა)
13. ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი)
16. მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი)
35. ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, უკრაინა)
36. დავით იმედაშვილი (დინამო, უკრაინა)
37. გიორგი შაშიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა)

ნახევარმცველები

10. ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია)
14. გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი)
18. ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი)
20. დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი)
22. ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა)
27. გიორგი ქინქლაძე (რუბინი, რუსეთი)

თავდამსხმელები

9. ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია)
11. შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია)
15. ლაშა ჯაკობია (არსენალი, უკრაინა)
21. ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა)
24. ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი)
30. გიორგი დემეტრაძე (მ. დონეცკი, უკრაინა)
31. მიხეილ აშვეთია (რუბინი, რუსეთი)

შენიშვნა:

ჩამოთვლილ ფეხბურთელთა წინ მითითებულია მათი მუდმივი ნომერი.

ურთულესი თამაში გველის, უძლიერესი მეტოქეა, მთავარია მატჩი მოედანზე გასვლამდე არ წავაგოთ. გუნდში კარგი განწყობაა, — თქვა კლაუს ტოპმიოლერმა კონფერენციაზე

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **რალფ მინგემ** კი სასერბეთო შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები

რევაზ თევდორაძე (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა), გიორგი ლორია (დინამო);

მცველები

გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), შოთა კაშია (დინამო), აკაკი ხუბუტია (ვილნიუსი, ლიტვა), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), გიორგი ნავალოვსკი;

ნახევარმცველები

მირზა ბჟალავა (ზესტაფონი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), შოთა გრიგალაშვილი (დინამო), ალექსანდრე კობახიძე (დინამო), ვასილ ღუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგი ფიფია (ზესტაფონი);

თავდამსხმელები

ნიკა გელაშვილი (ვიტ ჯორჯია), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), სანდრო იაშვილი (დინამო).

ეროვნულმა ნაკრებმა ორი ვარჯიში მ. მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარა. მერე კი ეროვნულზე გადაინაცვლა და სტადიონის გახსნამდე გუშინწინ, ღია ვარჯიშიც ჩაატარა.

ფრანგული დესანტი დღეს, 16 საათზე ჩამოვა თბილისში, „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდება და ეროვნულ სტადიონს მიაშურებს, სადაც „მამლების" თავკაცი **რაიმონ დომენეკი** მცირე პრესკონფერენციას გამართავს. 19 საათზე ნაკრების ვარჯიში დაიწყება, რომელიც ჟურნალისტებისთვის 15 წუთით ღია იქნება, მერე კი, დაიხურება. აქვე შეგახსენებთ საფრანგეთის ნაკრების სათბილისო შემადგენლობასაც:

მეკარეები: 1. მიქაელ ლანდრო („პარი სენ-ჟერმენი"), 23. გრეგუა კუპე („ლიონი").

მცველები: 2. ჟან-ალან ბუმსონგი („იუვენტუსი", იტალია), 3. ერიკ აბიდალი („ლიონი"), 5. უილიამ გალასი („ჩელსი", ინგლისი), 13. ფრანსუა კლერკი („ლიონი"), 15. ლილიან ტურამი („ბარსელონა" ესპანეთი), ‹17. გაელ ქივე („მონაკო"), 19. ვილი სანიოლი („ბაიერნი", გერმანია).

ნახევარმცველები: 4. პატრიკ ვიეირა („ინტერი", იტალია), 6. კლოდ მაკელელე („ჩელსი", ინგლისი), 7. ფლორენ მალუდა („ლიონი"), 8. რიო ანტონიო მავუბა („ბორდო"), 18. ალუ დიარა („ლიონი").

თავდამსხმელები: 9. სიდნეი გოვუ („ლიონი"), 11. სილვენ ვილტორი („ლიონი"), 12. ტიერი ანრი („არსენალი", ინგლისი), 14. ლუის საა („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), 20. დავიდ ტრეზეგე („იუვენტუსი", იტალია), 22. ფრანკ რიბერი („მარსელი").

ჩამოთვლილ ფეხბურთელთა წინ მითითებულია მათი მუდმივი ნომერი.

მაშ ასე, ხვალ დიდი მატჩია, მხურვალე ქომაგობის დრო დაგვიდგა. ჯერი ჩვენზე, ფეხბურთელთა ოსტატობაზე, მარიფათზე და იღბალზეა.

თუმცა, საგულშემატკივრო ზეგაც გვექნება. კვირას, 3 სექტემბერს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც დილომში თ. სულაქველიძის აკადემიაში ვარჯიშობს, სერბ თანატოლებს მ. მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებს, მოგეხსენებათ, ეს მატჩი 21:30 საათზე დაიწყება.

სერბები თბილისში შაბათს, 16:30 საათზე გვეწვევიან და „თბილისი მარიოტში" განთავსდებიან. 19 საათზე ვაკის სტადიონს მიაშურებენ და ივარჯიშებენ კიდეც. შეგახსენებთ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ერთი მატჩი უკვე ჩატარდა. ლიტველმა ახალგაზრდებმა ჩვენებურები შინ 1-0 დაამარცხეს. თბილისური მატჩის მერე, 6 სექტემბერს ჯგუფის ბოლო მატჩი გაიმართება. სერბები ლიტველებს უმასპინძლებენ. რის შემდეგაც გაირკვევა ის ერთი გუნდი, რომელიც მომდევნო ეტაპზე გავა.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

პირველი ლიგა. III ტური

ზესტაფონი2 — დინამო 2 0-0
რაჭა — მაღაროელი 1-3
ამერი2 — სამტრედია 3-3
ჩიხურა2 — მეშახტე 2-0
ვიტ ჯორჯია2 — გურია 6-0
მგლები — მეშაქრე 1-0
სპარტაკი — ოლიმპი 2-1
ნ. დინამო — გაგრა 3-2
მესხეთი — მერცხალი 6-1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
მესხეთი	3	2	1	0	8-2	7
მგლები	3	2	1	0	2-0	7
ვიტ ჯორჯია2	3	2	0	1	7-1	6
სპარტაკი	3	2	0	1	6-3	6
ნ. დინამო	3	2	0	1	5-4	6
მეშაქრე	3	2	0	1	3-2	6
სამტრედია	3	1	2	0	8-5	5
დინამო2 (თბ)	3	1	2	0	2-1	5
ჩიხურა2	3	1	1	1	3-2	4
მაღაროელი	3	1	1	1	6-5	4
ზესტაფონი2	3	0	3	0	4-4	3
ამერი2	3	0	3	0	4-4	3
მერცხალი	3	1	0	2	3-7	3
მეშახტე	3	0	2	1	4-6	2
ოლიმპი	3	0	2	1	2-3	2
რაჭა	3	0	1	2	4-9	1
გურია	3	0	1	2	0-9	1
გაგრა	3	0	0	3	2-6	0

საფეხბურთო მატჩებზე დასწრების მსურველთა საყურადღებოდ!

იმისათვის, რომ გულშემატკივრებს სათანადო წარმოდგენა შეექმნათ სასურველი ბილეთებისა და აბონემენტების თაობაზე, გთავაზობთ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ზედხედს. თითოეულ სექტორში გასაყიდი ბილეთების და აბონემენტების ფასები შეესაბამება სექტორის ფერებს.



საფეხბურთო ვიქტორინა

1. დაასახელეთ გუნდი, რომელმაც პირველმა მოიპოვა 1958 წელს უეფას თასი.

ა — „რომა"
ბ — „ბარსელონა"
გ — „ვალენსია"

2. რომელი გუნდია თასების მფლობელთა თასის პირველი მფლობელი?

ა — „სპორტინგი"
ბ — „ატლეტიკო"
გ — „ფიორენტინა"

3. დაასახელეთ ქვეყანა, რომლის ეროვნულმა ნაკრებმა ხუთჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა...

ა — ბრაზილია
ბ — იტალია
გ — გერმანია

4. რომელი წლიდანაა ფეხბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?

ა — 1896 წლიდან
ბ — 1900 წლიდან
გ — 1908 წლიდან

5. რომელი გუნდი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჩემპიონი?

ა — თბილისის „დინამო"
ბ — ქუთაისის „ტორპედო"
გ — ფოთის „კოლხეთი"

წინა ვიქტორინის პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: ....
გვარი: ....
დაბადების თარიღი: ....
ტელეფონი: ....
ელ-ფოსტა: ....

სარბიელი
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
11×11
24 საათი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბში გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფანკლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფანკლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW. GFF. GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის" ფილიალებში.

**საქართველოს
ფეხბურთის ფედერაცია.**

„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდემვინჯის მისია

სულ მალე საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი „ლილი“ მეორედ ჩაებმება უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. პირველად ეს შარშან იყო — 2005-2006 წლების გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე „ლილის“ ფეხბურთელებმა მხოლოდ ორი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდის დაცვის ხაზი ბრწყინვალედ თამაშობდა, მაგრამ საბოლოო შედეგში ეს ვერ აისახა წარმატებით — „ლილი“ ფლეი-ოფში ვერ მოხვდა. ამის მიზეზი თავდასხმის ხაზით უსუსური მოქმედებები იყო. ჯგუფური ეტაპის 6 შეხვედრაში ფრანგულმა კლუბმა მეტოქეთა კარში მხოლოდ ერთი ბურთის გატანა მოახერხა. მისი ავტორი იყო მილენკო აჩიმოვიჩი, რომელიც დღეს უკვე აღარ თამაშობს „ლილის“ შემადგენლობაში.

წლევანდელ ფლეი-ოფში რომ მოხვდეს, „ლილის“ თავდასხმამ უფრო შედეგიანად უნდა ითამაშოს. გუნდის ხელმძღვანელობას თავდამსხმელ პიტერ ოდემვინჯის იმედი აქვთ. სპეციალისტების აზრით ეს ფეხბურთელი შეიძლება უეფას ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების აღმოჩენად იქცეს.

ოდემვინჯი 182 სმ-ის სიმაღლისაა და 74 კგ-ს იწონის. ერთი შეხედვით ვერ იტყვი, რომ ოდემვინჯი თავდამსხმელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ყურებამდე იცინის.

ოდემვინჯი „ლილის“ დამრტყმელი ძალაა. ამ გუნდის ყოფილი ფორვარდი მასამბა მუსილუ ახლა „ნიცაში“ თამაშობს, ხოლო კიდევ ერთ თავდამსხმელს, საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრს ნიკოლ ფოვერგს გამოცდილება არ აქვს.

ოდემვინჯი ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელია. საფრანგეთის ბოლო ჩემპიონატში მან 14 ბურთი გაიტანა და სნაიპერთა სიაში მეორე ადგილზე გავიდა პაულეტას შემდეგ. პიტერი ფიქრობს, რომ ახალ სეზონში უფრო შედეგიანად ითამაშებს. 13 აგვისტოს მან „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა „ლანსთან“ შეხვედრაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ოდემვინჯი წელს კარგ ფორმაშია...

„ჩემი მთავარი ამოცანაა, უფრო მეტი ბურთი გავიტანო მეტოქეთა კარში, ვიდრე ეს შარშან იყო,“ — ამბობს პიტერ ოდემვინჯი.

უეფას ჩემპიონთა ლიგასა და საფრანგეთის ჩემპიონატში თავის გამოჩენაში ოდემვინჯის აუცილებლად დაეხმარება „ლილის“ ორი მაღალი კლასის ნახევარმცველი — კადერ კეიტი და ბრაზილიელი ახალბედა მიჩელ ბასტოსი. კლუბის ხელმძღვანელობა ოდემვინჯს ასე აფასებს: „ეს იდეალური თავდამსხმელია, რომელსაც ძალუძს ბევრი ბურთის შეტანა ამ სეზონში“.

ცოტა რამ ოდემვინჯის ბიოგრაფიიდან: კარიერის ადრეულ სტადიაში ოდემვინჯი ნახევარდაცვაში თამაშობს. ცენტრფორვარდის ადგილი დაიკავა 2002 წელს, როცა „ლუვიეში“ გადავიდა სათამაშოდ. „ჩემში ხედავდნენ ჰავბეკს ან ფლეიმეიკერს, მაგრამ ბელგიაში თავდასხმაში თამაში უკეთ ვისწავლე.“ თავის დროზე ოდემვინჯი ნიგერიაში თამაშობდა. საინტერესოა, ფეხბურთელის მამამ სამედიცინო განათლება მიიღო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ბავშვობაში ოდემვინჯი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს — თავად ფეხბურთელი დაიბადა უზბეკეთში, 7-წლამდე იზრდებოდა აფრიკაში. შემდეგ ოჯახი რუსეთში გადაბარგდა, სადაც პიტერმა ფეხბურთის თამაშიც დაიწყო.

პროფესიულ დონეზე ოდემვინჯიმ პირველად თავი გამოიჩინა მოსკოვის ცსკა-ს სარეზერვო შემადგენლობაში. მაშინ ნიგერიელი 18 წლის იყო. ის სამშობლოში მიიწვიეს, კლუბ „ბენინში“, რომლის შემდეგაც ბელგიაში გააგრძელა კარიერა. „ლუვიესთან“ ერთად ოდემვინჯიმ 2003 წელს ბელგიის თასი მოიპოვა.

პიტერმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი ნიგერიის ნაკრებში. მან ორჯერ იასპარეზა აფრიკის თასის გათამაშებაში. ნაკრების ღირსება ოდემვინჯიმ 14-ჯერ დაიცვა და მეტოქეთა კარში 5 ბურთი გაიტანა. ფეხბურთელი ნაწყენი დარჩა, რომ ნიგერიის ნაკრები ვერ მოხვდა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ოდემვინჯის იმედი აქვს, რომ ახალი სეზონი მისთვის წარმატებული იქნება არამარტო საკლუბო, არამედ სანაკრებო დონეზეც.

©AFP

ფულის გამო იჩხუბეს

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, ფულის გამო დავა გამართულა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონსა და ფეხბურთელს კრისტიან რონალდოს შორის. ამ უკანასკნელმა მწვრთნელს მოსთხოვა, რომ 400 ფუნტი სტერლინგი უნდა მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე სეზონში მინიმუმ 15 ბურთს გაიტანს.

«ფეიენოორდი» გაძლიერდა

ჰოლანდიურმა საფეხბურთო კლუბმა „ფეიენოორდმა“ წარუმატებლად დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი. მთავარმა მწვრთნელმა ერვინ კუმანმა თავისი გუნდის გასაძლიერებლად ნახევარმცველი დანი ბუიისი შეიძინა „გრონინგემისაგან“.

24 წლის ჰავბეკი „ფეინოორდის“ რიგით მეექვსე შენაძენია. „გრონინგემამდე“ ბუისი „ექსელსიორის“ ღირსებას იცავდა. ამ ფეხბურთელამდე „ფეიენოორდის“ რიგები შეავსეს დუაიტ ტინდალმა, ფილიპ ლეინარმა, ტეო ლუციუსმა, იონას კოლკმა და ჰენკ ტიმერმა. ერვინ კუმანს იმედი აქვს, რომ „ფეიენოორდი“ წარმატებით ითამაშებს ჰოლანდიის ჩემპიონატსა და უეფას თასის გათამაშებაშიც.

ბოსკამპი „სტანდარდიდან“ გაუშვეს

გახსოვთ იოჰან ბოსკამპი? ეს კაცი ხომ ერთ დროს თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობდა...

საქართველოდან ბელგიაში დაბრუნების შემდეგ იოჰანი ადგილობრივ კლუბებში მუშაობდა, ბოლოს „სტანდარდს“ თავკაცობდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ „სტანდარდის“ ხელმძღვანელობამ იოჰან ბოსკამპი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა. მას სპორტული დირექტორი მიშელ პრიუდომი შეცვლის.

მიზეზი? — წარუმატებელი სტარტი წლევანდელ სეზონში — „სტანდარდი“ ამჟამად მე-16 ადგილზეა ბელგიის ჩემპიონატში, გარდა ამისა ეს გუნდი უეფას თასის გათამაშებასაც გამოეთიშა.

57 წლის ბოსკამპი ამ ზაფხულს ჩაუდგა სათავეში „სტანდარდს“ და ბევრი ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო. ახალმა მწვრთნელმა პრიუდომმა კონტრაქტი 2008 წლამდე გააფორმა. ლეგენდარულმა გოლკიპერმა განაცხადა, რომ მზად არის ახალი სიმაღლეების დასაპყრობად.

„ბოლტონის“ მწვრთნელი გახარებულია

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ბოლტონის“ მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი სიხარულს ვერ მალავს ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავის ნიკოლ ანელკას შეძენის გამო. შეგახსენებთ, რომ ინგლისში ანელკა „არსენალის“, „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ღირსებას იცავდა. სატრანსფერო თანხამ 11,9 მილიონი ევრო შეადგინა. „ბოლტონის“ თავკაცი იმედოვნებს, რომ ანელკა თავისი გუნდის მთავარი ფიგურა გახდება.

კლიუვერტი უმუშევარი რჩება?

ჰოლანდიის საფეხბურთო ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი პატრიკ კლიუვერტი, როგორც ჩანს, უმუშევრად რჩება. 30 წლის თავდამსხმელის შეძენაზე ჰოლანდიის ჩემპიონმა პსვ „ეინდჰოვენმა“ უარი განაცხადა. ამჟამად კლიუვერტი „ვალენსიას“ ეკუთვნის, თუმცა, ბოლო პერიოდში ცხადი გახდა, რომ ესპანურ გუნდსაც აღარ სჭირდება ეს მოთამაშე. კლიუვერტს თავისმა აგენტებმაც ვერ უშველეს. სატრანსფერო „ფანჯარა“ ისე დაიხურა, მისთვის შესაფერისი გუნდი ვერ გამონახეს.

კინმა იორკი გაიხსენა

ცნობილია, რომ ინგლისის საფეხბურთო კლუბ „სანდერლენდს“ სათავეში ჩაუდგა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი როი კინი. ამ უკანასკნელს გაახსენდა დუაიტ იორკი, კონტრაქტიც მალევე გაფორმდა. აქვე გეტყვით, რომ იორკი უკანასკნელ პერიოდში იცავდა ავსტრალიური „სიდნეის“ ღირსებას.

ოლივეირა „მილანში“ გადავიდა

გუშინ „მილანმა“ კონტრაქტი გააფორმა ფეხბურთელ რიკარდო ოლივეირასთან. ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდში ესპანური „ბეტისის“ ღირსებას იცავდა. ჯერჯერობით არ ხმაურდება ტრანსფერის დეტალები.

ხვალ შესარჩევი მატჩებია

Austria Switzerland Candidas
UEFA·EURO2008

ხვალ გაიმართება ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი ტურის შეხვედრები (აგვისტოს შუა რიცხვებში უკვე გაიმართა სამი შეხვედრა). შეგახსენებთ ჯგუფების შემადგენლობას.

A ჯგუფი: ბელგია (1 ქულა), ყაზახეთი (1), ფინეთი, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი.

B ჯგუფი: საქართველო (3), უკრაინა, საფრანგეთი, იტალია, შოტლანდია, ლიტვა, ფარერები.

C ჯგუფი: საბერძნეთი, უნგრეთი, მალტა, ნორვეგია, თურქეთი, მოლდოვა, ბოსნია.

D ჯგუფი: გერმანია, ირლანდია, უელსი, კვიპროსი, სან მარინო, სლოვაკეთი, ჩეხეთი.

E ჯგუფი: ინგლისი, რუსეთი, ხორვატია, ისრაელი, მაკედონია, ესტონეთი, ანდორა.

F ჯგუფი: დანია, ისლანდია, ჩრდ. ირლანდია, ესპანეთი, შვედეთი, ლატვია, ლიხტენშტაინი.

G ჯგუფი: ჰოლანდია, ალბანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ბელარუსი, სლოვენია, ლუქსემბურგი.

გაგაცნობთ ხვალინდელი მატჩების განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „ინტერვეტენის“ კოეფიციენტებთან ერთად.

	1	X	2
შოტლანდია — ფარერები	1,12	6,50	13,00
ჩრდ. ირლანდია — ისლანდია	2,20	3,10	2,80
ინგლისი — ანდორა	1,01	12,00	25,00
მალტა — ბოსნია	6,00	3,90	1,40
საქართველო — საფრანგეთი	6,00	3,90	1,40
უნგრეთი — ნორვეგია	2,50	3,00	2,50
ბელარუსი — ალბანეთი	1,55	3,50	4,80
სერბეთი — აზერბაიჯანი	1,15	6,00	12,00
ჩეხეთი — უელსი	1,35	4,00	7,00
სლოვაკეთი — კვიპროსი	1,25	4,50	9,00
პოლონეთი — ფინეთი	1,45	3,80	5,40
ლუქსემბურგი — ჰოლანდია	25,00	12,00	1,01
გერმანია — ირლანდია	1,45	3,90	6,00
იტალია — ლიტვა	1,15	6,00	12,00
ლატვია — შვედეთი	3,80	3,10	1,80
რუმინეთი — ბულგარეთი	1,80	3,10	3,80
მოლდოვა — საბერძნეთი	4,00	3,20	1,75
ესტონეთი — ისრაელი	2,70	3,00	2,30
ესპანეთი— ლიხტენშტაინი	1,03	10,00	20,00

„მილანს“ რობინიოს შეძენა სურს

„მილანის“ ხელმძღვანელობა მზადაა გადაიხადოს 25 მილიონი ევრო თავდამსხმელ რობინიოში, რომელიც მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავს. საინტერესოა, რომ თავის მხრივ ესპანეთის სამეფო კლუბმა რობინიოს სანაცვლოდ 27 მილიონი ევრო გადაუხადა ბრაზილიურ საფეხბურთო კლუბ „სანტოსს“.

ვან დერ საარი რჩება

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ გოლკიპერი ედვინ ვან დერ საარი გუნდში დარჩენას ამჯობინებს. მას სურს, მანჩესტერელთა კარი კიდევ ორი სეზონის განმავლობაში დაიცვას. ცნობილია, რომ ვან დერ საარს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი წელს უმთავრდება.

სენსაციური ტრანსფერი

სატრანსფერო „ფანჯრის“ უკანასკნელი დღის მთავარი სენსაცია გამოდგა ლონდონურ „ვესტ ჰემში“ არგენტინელი ფეხბურთის ვარსკვლავების კარლოს ტევესისა და ხავიერ მასჩერანოს გადასვლა. ორივე ფეხბურთელი უკვე ინგლისში იმყოფება, სადაც სანაკრებო დონეზე ამხანაგურ მატჩში ითამაშებენ ბრაზილიელთა გუნდის წინაამდეგ. „კორინთიანსის“ აწ უკვე ყოფილი მოთამაშეების სატრანსფერო თანხები არ სახელდება.

პელეს ძეგლი დაუდგეს

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუსში, სტადიონ „ჟუვენტუსზე“ ძეგლი დაუდგეს ფეხბურთის მეფეს პელეს. სწორედ აქ, 1959 წლის 2 მაისს პელემ თავის კარიერაში ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა. ეს მოხდა „სანტოსისა“ და „ჟუვენტუსს“ შორის გამართული შეხვედრის დროს. ერთ მომენტში პელემ მოწინააღმდეგე გუნდის სამ მოთამაშეს (მათ შორის, გოლკიპერსაც) აუარა გვერდი ბურთის თავზე გადაგდებით (ამ ფინტს ბრაზილიაში „სომბრეროს“ ეძახიან), ისე, რომ ბურთს კვლავ ფეხით იჭერდა. მეკარეს რომ გადაუგდო ბურთი თავზე, კარის მიმართულებით ზუსტადაც დაარტყა. ეს გოლი ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს დღემდე ახსოვთ. ძეგლის გახსნას თვით პელეც ესწრებოდა, რომელიც გაოცებული იყო გულთბილი დახვედრით. „თითქოს გუშინ იყო, ეს ლამაზი ბურთი რომ გავიტანე,“ — თქვა პელემ. გახსნის ცერემონიალს აგრეთვე 1000-მდე გულშემატკივარი ადევნებდა თვალს.



კელვინ ბროკი: „კლიჩკო დამარცხდება, მე კი მსოფლიო ჩემპიონი გავხდები“

11 ნოემბერს ნიუ-იორკში უკრაინელი პროფესიონალი მოკრივე ვლადიმირ კლიჩკო ჩემპიონის ტიტულს დაიცავს ამერიკელ კელვინ ბროკთან ორთაბრძოლაში. ეს უკანასკნელი კრივის მოყვარულებს ჰპირდება, რომ ლამაზ სტილში დაამარცხებს კლიჩკოს და მსოფლიო ჩემპიონი თავად გახდება.

11 ნოემბრის ბრძოლის ჩატარებაზე კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა, წინასწარი შეთანხმება უკვე არსებობს და ბროკი სიტყვების კორიანტელით იწყებს „ომს“.

„ძალიან კარგად ვიცი, რომ ვლადიმირ კლიჩკოს დამარცხება შემიძლია. პროფესიულ რინგზე 29 შეხვედრა მოვიგე და კიდევ ერთ გამარჯვებას ჩავიწერ. ჩემს კარიერაში დამარცხებული მყავს სხვადასხვა მანერის მქონე მოკრივეები და კლიჩკოსი სულაც არ მეშინია“, — ამბობს კელვინ ბროკი.

საინტერესოა, რომ ამ ამერიკელ მოკრივეს პროფესიულ რინგზე ჯერ ერთი შეხვედრაც არ წაუგია. ბროკის მწვრთნელი ტიმ იანკელო უკვე „ტკბილ სიზმრებს“ ხედავს — სჯერა, რომ მისი შეგირდი უკრაინელს დაამარცხებს და ამის შემდეგ მას მოიხსენიებენ, როგორც პროფესიული კრივის სახელოვან სპეციალისტს.

იბფ-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმირ კლიჩკო თავის მხრივ საკუთარ ძალებშია დარწმუნებული. უკრაინელი ამტკიცებს, რომ ბროკის დამარცხება მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ის კი არა, ვლადიმირი უფრო შორს „იყურება“ — მას ტიტულების გაერთიანება განუზრახავს.

ვლადიმირ კლიჩკოს მწვრთნელი ემანუელ სტიუარდი დარწმუნებულია, რომ მისი შეგირდი უახლოეს ხანში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდება.

რაც შეეხება ბროკს, სტიუარდს თურმე ამერიკელი მოკრივის კლიჩკოს მოწინააღმდეგედ გადაქცევაც გაჰკვირვებია. მისი თქმით, კელვინს ბევრი არ იცნობს. „დარწმუნებული იყავით, ვლადიმირისთვის ბროკის დამარცხება პრობლემას არ წარმოადგენს“ — თქვა სტიუარდმა.

აშშ-ის ღია პირველობაზე

დაიწყო ჩოგბურთში წლევანდელი სეზონის დიდი სლემის უკანასკნელი ტურნირი — აშშ-ის ღია პირველობა. ყურადღებას რამდენიმე შეხვედრაზე შევაჩერებთ.

პირველი წრე წარმატებით დასძლია რუსეთის წარმომადგენელმა ანა ჩაკვეტაძემ, რომელმაც ორ სეტში დაამარცხა სლოვაკი მარტინა შუჩა 6:4, 6:1. პირველ ნომრად განთესილმა ფრანგმა ჩოგბურთელმა ამელი მორესმომ 6:1, 7:5 მოუგო გერმანელ კრისტინა ბაროის.

წარმატებით დაიწყო ასპარეზობა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა, რომელმაც ესპანელ ანაბელ გარიგუესს აჯობა — 4:6, 6:1, 6:3.

გუშინ მარია შარაპოვამ წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა ჰოლანდიელ მიქლა კრაიჩუკს — 6:3, 6:0.

ვაჟთა შეჯიბრებაში მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ როჯე ფედერერს არ გასჭირვებია ჩინელ იაუტსუო ვანგის ჩამოცილება გზიდან — 6:4, 6:1, 6:0.

მეორე ნომრად განთესილმა ესპანელმა რაფაელ ნადალმა 6:4, 6:4, 6:4 მოუგო ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს.

ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა აჯობა ესპანელ ალბერტ მონტანესს — 7:5, 6:4, 6:3.

რუსეთის წარმომადგენელმა თეიმურაზ გაბაშვილმა 5 სეტში დაამარცხა ბრაზილიელი მარკოს დანიელი — 6:3, 6:2, 3:6, 3:6, 6:3.

«ფორმულა 1» «შეკვეცეს»...

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა „ფორმულა 1“-ის 2007 წლის სეზონის კალენდარი. გრან პრის გათამაშებათა სიაში 17 ეტაპია. მასში ადგილი ვერ გამოინახა სახელგანთქმული იმოლას ავტოდრომისათვის, სადაც რამდენიმე წლის წინ ლეგენდარული აირტონ სენა დაიღუპა. არც ნიურნბერგში ჩატარდება გრან პრი. სამაგიეროდ, დაბრუნდა ერთი ავტოდრომი — სპა-ფრანკორში.

სხვათა შორის, „ფორმულა 1“-ის ხელმძღვანელს ბერნი ეკლსტოუნს ადრეც არაერთხელ უთქვამს, რომ იტალიასა და გერმანიაში „ფორმულა 1“-ის ორ-ორი ეტაპის ჩატარება მეტისმეტია. როგორც ჩანს, ბერნის აზრი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამაც გაითვალისწინა.



ასე რომ, ენცო და დინო ფერარების სახელობის სახელგანთქმული ტრასა, სადაც 1994 წელს ავარიამ იმსხვერპლა აირტონ სენა, 2007 წლის კალენდრიდან ამოვარდა. ამის მიუხედავად, იმოლას ავტოდრომს 2008 წლის კალენდარში „ჩაჯდომის“ შანსი მაინც აქვს, რაც არ შეიძლება ითქვას ნიურბურგრინგზე. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ყოველწლიურად ერთმანეთს ჩაანაცვლოს ნიურბურგრინგი და ჰოკენჰაიმი.

გრან პრის გათამაშებათა სიაში დაბრუნდა ბელგიის გრან პრი.

ასეა თუ ისე, ავტოსპორტის მოყვარულები 2007 წელს „ფორმულა 1“-ის 17 ეტაპს იხილავენ 18-ის ნაცვლად.

კიდევ ერთი სიახლე — იაპონიის გრან პრის გათამაშება გაიმართება არა სუზუკას ტრასაზე, არამედ „ფუჯის“ ავტოდრომზე.

* * *

გაგაცნობთ „ფორმულა 1“-ის კალენდარს 2007 წლისათვის.

1. ავსტრალიის გრან პრი — 18 მარტი
2. მალაიზიის გრან პრი — 8 აპრილი
3. ბაჰრეინის გრან პრი — 15 აპრილი
4. ესპანეთის გრან პრი — 13 მაისი
5. მონაკოს გრან პრი — 27 მაისი
6. კანადის გრან [illegible] — 10 ივნისი
7. აშშ-ის გრან პრი — 17 ივნისი
8. საფრანგეთის გრან პრი — 1 ივლისი
9. დიდი ბრიტ. გრან პრი — 8 ივლისი
10. გერმანიის გრან პრი — 22 ივლისი
11. უნგრეთის გრან პრი — 5 აგვისტო
12. თურქეთის გრან პრი — 26 აგვისტო
13. იტალიის გრან პრი — 9 სექტემბერი
14. ბელგიის გრან პრი — 16 სექტემბერი
15. ჩინეთის გრან პრი — 30 სექტემბერი
16. იაპონიის გრან პრი — 7 ოქტომბერი
17. ბრაზილიის გრან პრი — 21 ოქტომბერი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



1 სექტემბერი, პარასკევი

EUROSPORT. ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (5.00, 7.00, 9.00), ფეხბურთი. 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ქალები (12.30), ცხენოსნობა. მსოფლიო თამაშები გერმანიაში (13.30), მძლეოსნობა. იააფ-ის გრან პრი (14.30), ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი (16.00), ფეხბურთი (17.15), რალი. მსოფლიოფ ჩემპიონატი (17.30), ველოსპორტი (18.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (19.45). EUROSPORT-2 ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი (11.00), მძლეოსნობა. იააფ-ის გრან პრი (17.30), მოტოფრისტაილი (20.00), ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (21.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (22.00), **„პლანეტა – სპორტი“**. ბილიარდი. ევრაზიის ქალაქების გრან პრი (5.05), ცხენოსნობა. მსოფლიო თასის გათამაშების ფინალი (6.55), მძლეოსნობა. იტალიის გრან პრი (13.55), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (22.10).

2 სექტემბერი. შაბათი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო — საფრანგეთი (19.30), EUROSPORT. ჩოგბურთი. დიდი სლემის ტურნირი. აშშ-ის ღია პირველობა. (5.00, 9.00, 13.00), ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი ჩინეთში (11.00), ველოსპორტი. ესპანეთის ტური (15.30), ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (17.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.30), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (19.00), EUROSPORT-2 ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი (11.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (17.30), „ფორმულა 3000“ (18.15), მძლეოსნობა (19.00), ველოსპორტი (20.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (22.00). **„პლანეტა – სპორტი“.** ევრაზიის ქალაქების გრან პრი (5.40), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (7.25), ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა (10.30), მხატვრული ტანვარჯიში (13.45), პროფესიული კრივი (16.25), მძლეოსნობა (18.25), ძიუდო. მსოფლიოს სუპერთასი (22.35).

3 სექტემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი. კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო — ლუქსემბურგი (18.55), ფეხბურთი. 21 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო-სერბეთი (21.25), EUROSPORT. ჩოგბურთი. დიდი სლემის ტურნირი. აშშ-ის ღია პირველობა (5.00, 9.00), ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (11.00), ცხენოსნობა. მსოფლიო თამაშები გერმანიაში (11.30), ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი (12.45), ფეხბურთი. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა (16.00), ველოსპორტი. ესპანეთის ტური (18.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (19.45), EUROSPORT-2. ფრენბურთი (5.30), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), ველოსპორტი (18.30), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა (22.00), **„პლანეტა – სპორტი“.** ცხენოსნობა. მსოფლიო თასის ფინალი (5.35), მძლეოსნობა (6.50), ძიუდო. მსოფლიოს სუპერთასი (11.00), წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (14.55), მხატვრული ტანვარჯიში (20.40), პროფესიული კრივი (4.20).

კროსვორდი

თარაზულად: 4. ერთ-ერთი მაღალი რანგის სპორტული ასპარეზობა, 9. „მილანის“ ფეხბურთელი, 10. ამერიკელი სპორტსმენი 400 მ. კომპლექსურ ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონი (1964), რიჩარდ... 11. ჩილელი ჩოგბურთელი ვაჟი, 12. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 13. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 14. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, 19. ბალტიისპირეთის ყოფილი საბჭოთა ქვეყანა, 20. „მილანის“ ფეხბურთელი, 21. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 24. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 25. საავტომობილო შეჯიბრებებში მონაწილე, 27. ლეგენდარული იტალიელი საფეხბ. მსაჯი, 29. ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი, 50-იან წლებში, ნიკოლოზ... 30. ლეგენდარული უნგრელი მოკრივე, ლასლო,.. 31. იალქანი, ანუ...



შვეულად: 1. ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე, სანდრო... 2. იუგოსლაველი კალათბურთელი ვაჟი, ევროპის და მს. ჩემპიონი, ოლ. პრიზიორი, კრეშმირ... 3. პროფესიონალი მოკრივე, 4. ჩოგბურთელის ინვენტარი, 5. დოლი გრძელ დისტანციაზე, 6. ნბა-ს საკალათბურთო გუნდი, 7. ქართველი მძლეოსანი, ოლიმპიური პრიზიორი, 8. სისტემა იოგის მიმდევარი, 15. საქართველოს ეროვნული ნაკრების მორაგბე, 16. საბერძნეთის ძველი სახელწოდება, 17. ილეთი ჭიდაობაში, 18. ინგლისური ფეხბურთის სკანდალური ლეგენდა, პოლ... 22. საჭადრაკო კოეფიციენტების ავტორი, 23. „მონაკოს“ ფეხბურთელი. 24. ფოთის „კოლხეთის“ მწვრთნელი, 26. ელდარ კურტანიძის ნათლობის სახელი, 28. კურნიკოვას სახელი, 29. სამაგიდო თამაში.

შეადგინა
ნოდარ ჯაჯვაძემ.

ჰოკეის ლეგენდა ავტოკატასტროფაში მოჰყვა

ლეგენდარულ ჰოკეისტს, სპორტის ამ სახეობის დიდების დარბაზის წევრს, 75 წლის დიკი მურს ავტოავარია შეემთხვა. მისი ავტომობილი სატვირთო მანქანას შეეჯახა. მაშველებს 45 წუთი დასჭირდათ, რათა დამტვრეული მანქანიდან მური გადმოეყვანათ. მან სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

შეგახსენებთ, რომ დიკი მურმა ნჰლ-ში 719 მატჩი ითამაშა და 608 ქულა მოაგროვა, 6-ჯერ მოიპოვა სტენლის თასი...

საჭადრაკო ეტიუდი

დ. გურგენიძე (1980წ)



ყაიმი

№65-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეc7+
1. ..... მფd8 2. ე:e7 a5 3. მფa3 a4
4. მფa2 a3 5. ეg7 ეc8 6. b7 ეc2
7. მფb1+ ეb2 8. მფa1 ეa5 9. ეg8
მფc7 10. ეc8+

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად 1. აჭარა, 5. ფაი, 6. ბარქაია, 7. ოდა, 9. ჩუი, 11. ბობანი, 13. კუ, 14. სო, 16. ლუა, 17. ბეკენბაუერი, 18. პა, 19. გო, 20. რა, 21. კაპაბლანკა, 25. ბა, 26. გურზი, 28. მეტრეველი, 29. „აიაჩო“, 30. რაი.

შვეულად: 2. ჭიდაობა, 3. ბასა, 4. ოქმი, 5. ფაჩულია, 8. იოსელიანი, 10. ირაო, 12. ნოა, 15. „ჰერტა“, 18. პარაგვაი, 19. გაბელია, 22. ათლეტი, 23. ლიტრი, 24. ნიავი, 27. ზიჩი.

თარიღები

1 სექტემბერი

1913 წ. დაიბადა სერგო შუდრა (ფეხბურთი — „დინამო“ თბ). სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1947 წ. სსრკ III პრიზიორი. უმაღლეს ლიგაში ითამაშა 44 მატჩი. გარდაიცვალა 1983 წ.

1937 წ. დაიბადა ილია დათუნაშვილი (ფეხბურთი — „დინამო“ თბ). 1964 წ. სსრკ ჩემპიონი. 1962, 1967 წ. სსრკ III პრიზიორი, 1966 წ. ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი. უმაღლეს ლიგაში ნათამაშები აქვს 199 მატჩი და გაიტანა 47 გოლი.

1962 წ. დაიბადა რუუდ გულიტი (ფეხბურთი — „ფეიენოორდი“, „ეინდჰოვენი“ ჰოლანდია, „მილანი“, იტალია). 1988 წ. ევროპის ჩემპიონი, 1987 წ. „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 1989, 1990 წ. ჩემპიონთა თასის, სუპერთასის და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. 1990 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 1987 წ. დაასახელეს მსოფლიოში №1 ფეხბურთელად.

2 სექტემბერი

1925 წ. დაიბადა ანდრო ზაზროევი (ფეხბურთი — „დინამო“ თბ, „დინამო“ კიევი), სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1951, 1952 წ. სსრკ II, 1950 წ. — III პრიზიორი, 1954 წ. ქვეყნის თასის მფლობელი. 1951 წ. სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, გამოდიოდა ქვეყნის II ნაკრებში, უმაღლეს ლიგაში ითამაშა 155 მატჩი და გაიტანა 64 გოლი. გარდაიცვალა 1987 წ.

1952 წ. დაიბადა ალან ჟირესი (ფეხბურთი — „ბორდო“, „ოლიმპიკი“ მარსელი, საფრანგეთი), 1984 წ. ევროპის ჩემპიონი. 1986 წ. მსოფლიო ჩემპიონატის III პრიზიორი. 1982 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. ნაკრებში ნათამაშები აქვს 47 მატჩი.

1974 წ. შედგა პელეს უკანასკნელი საფეხბურთო მატჩი „სანტოსის“ შემადგენლობაში.

3 სექტემბერი

1960 წ. გამოვლინდა ფეხბურთში საკონტინენტთაშორისო თასის პირველი მფლობელი — მადრიდის „რეალი“.

1976 წ. თბილისის „დინამოს“ პირველი გამარჯვება ფეხბურთში სსრკ თასის ფინალში („არარატთან“ 3-0).

4 სექტემბერი

1955 წ. ლისაბონში შედგა ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების პირველი საფეხბურთო მატჩი.

1956 წ. დაიბადა სერგეი შავლო (ფეხბურთი — „სპარტაკი“ მოსკოვი), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 1980 წ. ოლიმპიური თამაშების III პრიზიორი, 1980 წ. ევროპის ჩემპიონატის და 1982 წ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მონაწილე, 1979 წ. სსრკ ჩემპიონი. ნაკრებში ნათამაშები აქვს 24 მატჩი და გაიტანა 1 გოლი. 6-ჯერ შედიოდა საუკეთესოთა შორის „33“-ში.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com